

[illegible] სპარტაკიადა 40 საიუბილეო

მეტად საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა რესპუბლიკური მოტოკროსი, რომელიც საბჭოთა საქართველოს 40 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამაში შედიოდა. ეს საინტერესო ასპარეზობა საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. მონაწილეებსა და მრავალრიცხოვან მაყურებლებს სიტყვით მიმართა და ასპარეზობა გახსნილად გამოაცხადა საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ თ. მანაგაძემ.

მოტოკროსი

პირველად სტარტი მიეცა 350 კუბ. სმ კლასის მოტოციკლებს. როგორც პირველ ეტაპზე, ისე მეორეზე გამარჯვება მოიპოვა სპორტის ოსტატმა თ. შალიბაშვილმა, რომელმაც მოიპოვა საიუბილეო სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება. საინტერესო ბრძოლა წარიმართა მეორე ადგილისათვის. პირველ ცდაზე ფინიშთან მეორე იდგა სპორტის ოსტატი ვ. კლემენტიევი, ხოლო შემდგომ ცდაზე — ო. ხარაძე. ორივე ცდის ჯამში უპირატესობა ხარაძის მხარეზე დარჩა.

125 კუბ. სმ კლასის მოტოციკლისტთა ასპარეზობაში როგორც პირველ, ისევე მეორე ცდაზე საპრიზო ადგილები ერთნაირად განაწილდა: კ. ცალქალამანიძე, ე. მანუკიანი, რ. ვალუსტიანი. მეორე გამარჯვება ცალქალამანიძემ მოიპოვა 175 კუბ. სმ კლასის მოტოციკლებით შეჯიბრებაში.

ცალქალამანიძის „რეკორდი“ გაიმეორა თ. შალიბაშვილმა.: 500 კუბ. სმ კლასის მოტოციკლებით ასპარეზობაში მან პირველივე ცდაზე გადაუსწრო რუხაძესა და კლემენტიევს და შემდეგაც მიუწვდომელი დარჩა მათთვის.

გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: I — თბილისის პირველი გუნდი, II — სოხუმის ნაკრები, III — თბილისის მეორე გუნდი.

* * *

სურათებზე: ზემოთ მარჯვნივ — სოხუმელი ს. რუხაძე დისტანციაზე. ქვემოთ — თ. შალიბაშვილი მოტოციკლით აკეთებს ნახტომს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 44 (1680) ○ სამშაბათი, 11 აპრილი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

ბ. პოლულიახის გამარჯვება

ლენინგრადის ფიზკულტურის ინსტიტუტის საწყლოსნო აუზში მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის უძლიერეს წყალში მხტომელთა საკავშირო შეჯიბრება გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ ჯილდოზე. ეს სპორტული ღონისძიება ყოველწლიურად ტარდება და ერთგვარად წარმოადგენს სსრ კავშირის არაოფიციალურ ჩემპიონატს.

ქალთა შორის ტრამპლინიდან ხტომაში წარმატებით გამოვიდა ევროპის ჩემპიონი რომის ოლიმპიური თამაშების პრიზიორი მოსკოველი ნ. კრუტოვა, რომელმაც 6 ნახტომის ჯამში დააგროვა 77,53 ქულა და სათავეში ჩაუდგა შეჯიბრებას. ლიდერს 3,43 ქულით ჩამორჩა ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონი ე. კოსოლაპოვა. დასკვნით ხტომებში ნ. კრუტოვამ შესანიშნავად შეასრულა რთული ხტომები და მოიპოვა პირველი ადგილი. მისმა უახლოესმა მეტოქემ კოსოლაპოვამ ერთ-ერთი ხტომა ძალზე სუსტად შეასრულა და წინ გაუშვა ე. კულაკოვა.

წინასწარი შეხვედრების დროს ვაჟთა შორის დაწინაურდა თბილისელი ბ. პოლულიახი. მას კვალდაკვალ მისდევდნენ მოსკოველი ი. მელნიკოვი და კიეველი ა. კოსტრიცკი, რომლებმაც უკან ჩამოიტოვეს გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ გასული წლის შეჯიბრების თასის მფლობელი ი. კაზაკოვი. შესანიშნავად გამოვიდა თბილისელი წყალში მხტომელი ფინალში, სადაც მსაჯთა მაღალი შეფასება მიიღო, 155,92 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და პირველად მოიპოვა „კომსომოლსკაია პრავდის“ ტრადიციული შეჯიბრების ჯილდო. მეორე ადგილზე გამოვიდა ი. მელნიკოვი, მესამეზე — ა. კოსტრიცკი.

მეათე პარტიის შემდეგ

მოსკოვი. (ჩვენი სპეც. კორ.). IX პარტიის დამთავრება, როგორც ყოველთვის, მოეწყო საბჭოთა კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის საატო დარბაზში. კლუბის აივანზე დადგმული იყო დიდი სადემონსტრაციო დაფა, მრავალრიცხოვანი მაყურებლებისათვის, რომლებიც ვერ მოხვდნენ დარბაზში.

ბოტვინიკი ნელი ნაბიჯით მიუახლოვდა ტალს, ჩამოართვა მას ხელი და მიუჯდა მაგიდას, რომელზეც განლაგებული იყო შეწყვეტილი პოზიცია. მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის გარეგნობაში ამოიკითხებოდა მზადყოფნა ძნელი ბრძოლისათვის. შტალბერგმა დაფაზე გააკეთა ბოტვინიკის ჩაწერილი სვლა და საათი ჩართო. ტალი ჩაფიქრდა.

შემდეგ ჩემპიონმა დათმო მეორე პაიკი და თამაშში მეფე შემოიყვანა. ტალს ახასიათებს თამაშის გართულების შესანიშნავი უნარი. მაგრამ მშვიდი ბოტვინიკი ოსტატურად უვლიდა მათ გვერდს და პარტია მოგებისაკენ მიჰყავდა. თანდათანობით ამოიწურა თამაშის რესურსები და ტალი შეურიგდა დამარცხებას.

გუშინ შედგა მატჩ-რევანშის X პარტია. იგი არ დამთავრებულა და გადადებულია მ. ბოტვინიკის უპირატესობით.

ამრიგად, მეათე პარტიის შემდეგ ორი ქულის განსხვავებით (5,5:3,5) წინ კვლავ ექს-ჩემპიონია.

წინ, კომუნიზმისაკენ!

გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებები. მთელი მსოფლიოს მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს ყოველწლიურად ზეიმით აღნიშნავენ მშვიდობისმოყვარე ადამიანები, რომლებსაც მტკიცედ სწამთ, რომ კაცობრიობა მიაღწევს თავის სანუკვარ მიზანს — მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მხურვალედ მიესალმება მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ადამიანებს, უსურვებს მათ ახალ-ახალ წარმატებებს, მოუწოდებს მტკიცედ იბრძოლონ „ცივი ომის“ ლიკვიდაციისათვის, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და ამ იარაღის აკრძალვისათვის, ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა შორის მშვიდობისა და თანამშრომლობისათვის.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საპირველმაისო მოწოდებებში მხურვალედ მიესალმება მოძმე დიდ ჩინელ ხალხს, ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკების, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, უსურვებს მათ ახალ-ახალ გამარჯვებებს მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეში. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საპირველმაისო მოწოდებებში მიესალმება დიდ ინდოელ ხალხს, ინდონეზიის, ცეილონის, კამბოჯის, ლაოსის, ავღანეთის, არაბთა ქვეყნების, ალჟირის, აფრიკის, კონგოს, ლათინური ამერიკის, კუბის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებისთვისაც ძვირფასია თავისუფლება, მთელს მსოფლიოში მშვიდობისათვის მტკიცე ბრძოლა.

ჩვენი ხალხის ყველა გამარჯვებათა ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმება საბჭოთა ხალხს, რომლებსაც უსურვებს სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ ახალ-ახალ წარმატებათა მოპოვებას მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და კულტურის დარგში, გმირულად იშრომოს, რათა კიდევ უფრო გაიფურჩქნოს სოციალისტური სამშობლო, კიდევ უფრო ბედნიერად იცხოვრონ კომუნიზმის მშენებელმა ადამიანებმა. პარტია მიესალმება ჩვენი ქვეყნის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, მოუწოდებს მათ ისწავლონ კომუნისტურად ცხოვრება და მუშაობა, გამოიმუშაონ შრომისმოყვარეობა, დისციპლინა, მაღალი მორალური თვისებები, იყონ რევოლუციური ტრადიციების ერთგული დამცველები, კომუნიზმის შეგნებული მშენებლები.

ჩვენი სამშობლოს ადამიანები მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები დიდი სიხარულისა და მადლიერების გრძნობით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებს, ისინი მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, მთელი მსოფლიოს ხალხები უფრო დაუკავშირდებიან ერთმანეთს, მტკიცედ იბრძოლებენ რათა არ განმეორდეს ისტორიის მწარე გაკვეთილები, არ ატყდეს ახალი ხოცვა-ჟლეტა, რომელიც მთელი მსოფლიოს ხალხს უბედურებას მოუტანს.

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ციხე-სიმაგრეს, მშვიდობის დემოკრატიისა და სოციალიზმის ურყევ ბურჯს, გაუმარჯოს კომუნიზმს — მთელი კაცობრიობის ნათელ მომავალს.

მეჯი ყურადღება ფიზიკური აღზრდის სასკოლო გაკვეთილებს

მეცადინეობის ორგანიზაციის ძირითადი ფორმის — გაკვეთილის სტრუქტურისა და ჩატარების ორგანიზაცია-მეთოდიკის საკითხებზე საკმაოდ ვრცელი ლიტერატურა გამოდის, ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის ჩატარების თემატიკას ეხმაურება რესპუბლიკის სპეციალური პერიოდული პრესაც. ამის მიუხედავად თბილისის ბევრ სკოლაში ადგილი აქვს ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის არა მარტო პარალელური, არამედ სხვადასხვა საფეხურის (დაწყებითის, არასრულის და სრულის) კლასების გაერთიანებას, მეცადინეობის ცხრილის ურთიერთ დამთხვევებს. ასეთი გარემოება რატომღაც მხოლოდ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე პოულობს გამართლებას სკოლების ხელმძღვანელთა თვალში, ანალოგიური რამ სხვა სასწავლო დისციპლინებში არ ხდება.

სურათზე: საქართველოს ერთერთი საუკეთესო ველოსიპედისტი ზ. კორჩაგინა დისტანციაზე.

ფოტო ვ. ხემიონოვისა.

აღნიშნული ნაკლის საილუსტრაციოდ საკმარისია მივუთითოთ თბილისის მე-12, 62-ე და სხვა სკოლებს, რომლებშიც არის გაკვეთილების ურთიერთდამთხვევის გარეშე დაგეგმვის შესაძლებლობა. ე. წ. „ფანჯრების“ ლიკვიდაციის გზით. მაგრამ ასე არ ხდება. მეცადინეობის ხარისხზე ზრუნვის ნაცვლად აქ სხვა საგნების მასწავლებელთა პირადი „ფანჯრების“ ლიკვიდაციაზე უფრო მეტად ზრუნავენ. ასეთი ნაკლოვანებები გვხვდება რესპუბლიკის სხვა სკოლებშიც.

რამდენიმე წელია, რაც სკოლებში მიღებულ იქნა ე. წ. „სპეციალიზაცია“. ეს კარგი საქმეა, მაგრამ როგორ სრულდება იგი? ჩვეულებრივ. სპეციალიზაციას იწყებენ არა ობიექტური პირობების ანალიზის საფუძველზე, არამედ არსებული სპორტული ბაზის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში სპეციალიზებული სკოლები მეცადინეობენ იმავე პროგრამით, რომლითაც არასპეციალიზებული სკოლები. თუ სპეციალიზებულ სკოლებში გარკვეულ სახეობებში მასალას უფრო ღრმად გადიან (ისიც მხოლოდ ერთ ან ორ ჯგუფთან—ე. წ. სპორტული მონაცემების მქონე მოსწავლეებთან), სხვა მოსწავლეები ასეთ მეცადინეობას მოკლებულნი არიან. სამწუხარო ის არის, რომ რამდენიმე ბავშვის მიერ სპორტული წარმატებით ფასდება მთელი სკოლის მუშაობის ხარისხი და სპეციალიზაციის მნიშვნელობაც. ეს მაშინ, როცა შეუძლებელია სკოლის ყველა ხუთას თუ ათას მოსწავლეს ერთნაირი გატაცება ჰქონდეთ საერთოდ და კერძოდ სპორტის რომელიმე სახეობისადმი.

გაკვეთილებზე მოსწავლეები უნდა ღებულობდნენ პროგრამით გათვალისწინებულ საერთო, ყოველმხრივ ფიზიკურ განვითარებას, რაც საფუძვლად დაედება სპორტის სახეობების მიხედვით გაღრმავებულ მეცადინეობას, მოსწავლეთა სურვილს, მიდრეკილებისა და მათი ფიზიკური მონაცემების გათვალისწინებით. ასეთი გზით სპორტული დახელოვნება დაემყარება საჭირო ზოგად-ფიზიკურ მომზადებას. რამდენადაც სრულყოფილი იქნება ეს მომზადება ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე, იმდენად მეტი და სტაბილური იქნება მოსწავლეთა რაოდენობა და მიღწევათა ხარისხიც სპორტულ სპეციალიზაციაშიც.

ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემისა და მისგან გამომდინარე მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის ძირითადი ამოცანა, უპირველს ყოვლისა, მდგომარეობს ყოველმხრივი ფიზიკური განვითარების უზრუნველყოფაში. მომეცადინეთა შრომითი საქმიანობისა და ქვეყნის თავდაცვისათვის მომზადებაში, რასაკვირველია, ეს სრულებით არ გამორიცხავს მოსწავლეთა სპორტტექნიკური დონის ამაღლების საჭიროებას; პირიქით, იგი ამას აუცილებლად მოითხოვს, მაგრამ არა მხოლოდ აკადემიური პროცესის (გაკვეთილების) ხარჯზე, არამედ ძირითადად კლასგარეშე, სკოლისგარეშე მუშაობისას. ამ საქმისათვის მოწოდებულია სკოლის ფიზკულტურის კოლექტივი, რაიონული და საქალაქო სპორტული სკოლები, ახალგაზრდობის სპორტული სკოლები და სხვ.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ასაკისა და სქესის მოსწავლეთა ფუნქციონალური, მორფოლოგიური და სხვ. მონაცემები განსხვავებულია და უფრო გამოკვეთილად ჩანს 10-11 წლის ასაკიდან, ე. ი. დაახლოებით მე-5 კლასიდან. ეს გარემოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაწყებითი სკოლიდან. ეს გარემოება ითვალისწინებს ბავშვის ორგანიზმის ფიზიკურ და ფსიქიურ თვისებებზე, მის განვითარებაზე. მასწავლებელი ვალდებულია ურთიერთგანსხვავებული მოთხოვნები წაუყენოს მასალის გავლისას გოგონებსა და ვაჟებს, რისთვისაც უნდა მოხდეს აკადემიური კლასის ქვეჯგუფებად დაყოფა. ზოგჯერ ჯგუფის რაოდენობა 2-3 აღწევს. ამ დროს მასწავლებელს, ცხადია, გაუძნელდება მეცადინეობის ნორმალურად ჩატარება და საპროგრამო მასალის ხარისხიანად გავლა, ასეთ პირობებში გასაკვირიც არ უნდა იყოს, რომ საპროგრამო მასალა ხშირად დაუძლეველი რჩება და საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი I საფეხურის ნორმებსაც კი ვერ აბარებენ.

ისმება კითხვა, თუ VIII, IX, X კლასებში მოსწავლეთა ასაკობრივი და სხვა თავისებურებების გამო აუცილებელი გახდა აკადემიური კლასის დაყოფა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე გოგონათა და ვაჟთა ჯგუფებად, ნუთუ საჭირო არ არის ამავე პირობების დაცვა V კლასის მოსწავლეთა შორის? განათლების სამინისტროს მიერ 1959 წელს გამოცემულ „სასკოლო დაწესებულებათა დაფინანსების“ საკანონმდებლო სახელმძღვანელოში, რომელიც შედგენილი და დამუშავებულია სახელმძღვანელო დირექტივების შესაბამისად, 110 გვერდზე სრულიად სამართლიანად მითითებულია, რომ მოსწავლეები მეხუთე კლასიდან მეათე კლასის ჩათვლით ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე იყოფიან გოგონებისა და ვაჟების ჯგუფებად და ჯგუფებს გამოიყოფათ ცალკე მასწავლებლები.

ზემოაღნიშნული დირექტივა საკანონმდებლო შეესაბამება მოსწავლეთა განსხვავებულობის პედაგოგიურ მუშაობაში გასათვალისწინებელ აუცილებლობებს, ემყარება მეცნიერულ მონაცემებსაც, რის გამო იგი აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული ეხედველობაში და განხორციელდეს ფიზიკური აღზრდის პრაქტიკაში. მისი განხორციელება ხელს შეუწყობს გაკვეთილებზე მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების პროცესის ნორმალურად წარმართვას, შესაძლებელს გახდის საპროგრამო მასალის სრულად გავლას ყველა კლასებში, ამაღლდება სწავლების ხარისხი, მოსწავლეთა სპორტულ-ტექნიკური მომზადების ღონე ღა-ა-შ. [illegible] ... ტოვებული სკოლებში სუსტი ფიზიკური—განვითარების და ჯამრთელობის მქონე მოსწავლეებთან მუშაობა. ამ საკითხზე უამრავი ლიტერატურა არსებობს, რომელშიც მითითებულია მეცადინეობის როგორც ორგანიზაციის, ისე ჩატარების მეთოდიკის საკითხები, მაგრამ, ფაქტიურად, აღნიშნული ჯგუფის ბავშვებთან მუშაობა არ ტარდება, ბავშვები ფორმალურად ესწრებიან გაკვეთილებს (ხედან და უთვალთვალებენ თავიანთ თანაკლასელების ვარჯიშსა და თამაშს). აუცილებელია მათთან ისეთი კარგად და ორგანიზაციულად მოეწყოს მეცადინეობები, როგორც ამას ადგილი აქვს უმაღლეს სასწავლებლებში, ანალოგიური ჯგუფის მომეცადინეებთან. საჭიროა მხოლოდ ფიზიკური აღზრდის მასწავლელთა მიერ მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა, მზრუნველობის, მონდომებისა და შრომისმოყვარეობის გამოჩენა, სპეციალური ჰიგიენური გამაჯანსაღებელი ვარჯიშების ჩატარება.

ბავშვის ორგანიზმი ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ! ეს არის სკოლაში ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლებისა და ფიზიკური კულტურის გაკვეთილების ძირითადი ამოცანა.

შ. მამარდაშვილი,

საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი.

სპორტკავშირის კონფერენციები

გორი

ჩატარდა გორის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის მეორე საქალაქო კონფერენცია, სადაც საანგარიშო მოხსენებით გამოვიდნენ სპორტკავშირის თავმჯდომარე გ. მეყანწიშვილი და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე გ. სიმონიშვილი.

მომხსენებლებმა ანალიზი გაუკეთეს განვლილ მუშაობას, ილაპარაკეს იმ მასობრივ-სპორტულ ღონისძიებებზე, რომელიც ქალაქის სპორტკავშირის პრეზიდიუმმა და ფიზკულტურის კოლექტივებმა ჩაატარეს საანგარიშო პერიოდში.

ფიზკულტურელთა რიცხვი 5.127-დან გაიზარდა 6.376-დე. თუ 1959 წელს მხოლოდ ორი სპორტის ოსტატი და ამდენივე პირველთანრიგოსანი მომზადდა, 1960 წელს სპორტის ოსტატთა რაოდენობა 8-მდე გაიზარდა, ხოლო პირველთანრიგოსნისა — 28-მდე.

რესპუბლიკურ შეჯიბრებაზე წარმატებით გამოვიდნენ კალათბურთელები, ფრენბურთელები, მოჭიდაველები, ტანმოვარჯიშეები, ტყვიით მსროლელები და მძლეოსნები. პედინსტიტუტის სამბისტთა გუნდმა, რომლის მწვრთნელია სპორტის ოსტატი გ. პაპიტაშვილი, საბჭოთა კავშირის პირველობაზე უმაღლეს სასწავლებელთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ნ. ბარათაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურულ კოლექტივს, ქალაქის ნაკრები გუნდები ძირითადად მათგან კომპლექტდება, მაგრამ აქ ყველაფერი რიგზე მაინც არ არის. სათანადო ყურადღება არ ექცევა ცურვის, კრივის, მხატვრული ტანვარჯიშისა და აკრობატიკის განვითარებას. დამთავრება არ ეღირსა საცურაო აუზის მშენებლობას.

ბამბეულის კომბინატის მრავალრიცხოვან კოლექტივს კარგი პირობები გააჩნია სპორტული მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მაგრამ ბევრ რამეში აქაც ჩამორჩებიან. ხელმძღვანელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ძალოსნობას და საწარმო ტანვარჯიშს. მრავალი ათასი მუშა-მოსამსახურიდან მხოლოდ 200-მდე ახალგაზრდაა გაერთიანებული სპორტსაზოგადოება „განთიადში“. „სპარტაკის“ საბჭო ჩამორჩა მოზარდთა თანრიგისა და მშთ ნიშნოსანთა მომზადება-გეგმების შესრულებაში, უმოქმედობენ გორვაჭრობის, უნიკერმაღის, საავადმყოფო-პოლიკლინიკის, ავტოსატრანსპორტო კანტორის ფიზკულტურული კოლექტივები.

კამათში გამოსულმა ამხანაგებმა გ. გაბუნიამ, გ. ხაჩიძემ, შ. რომელაშვილმა, ნ. ხერხეულიძემ, ვ. ჯაბრიშვილმა, ე. ბუთხუზმა, შ. დვალიშვილმა და სხვებმა მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოთქვეს, ილაპარაკეს ძალოსნობის, კრივის, მძლეოსნობის, ფარიკაობის, აკრობატიკის, ფეხბურთისა და სპორტის სხვა სახეობათა ჩამორჩენაზე, სკოლებში **იმშთ** და **მშთ** პირველ საფეხურზე მოსწავლეთა მომზადების დარგში გამოვლინებულ ფორმალობაზე, სპორტული ბაზების სიმცირეზე.

კონფერენციამ აირჩია სპორტკავშირის საბჭოსა და მისი პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. სპორტკავშირის თავმჯდომარედ არჩეულია გ. მეყანწიშვილი.

ი. თევდორაშვილი

საკ. კორესპონდენტი.



წულუკიძე. დამთავრდა მოსწავლეთა საგაზაფხულო პირველობა კალათბურთში, სადაც მონაწილეობდა რაიონის 17 კოლექტივი. გოგონათა შორის პირველი ადგილი დაუმარცხებლად დაიკავა ქალაქის პირველი საშუალო სკოლის გუნდმა. ვაჟთა შორის გაიმარჯვეს გოჩაჯიხაიშის საშუალო სკოლის კალათბურთელებმა.

ა. ყუფარაძე.

* * *

თბილისი. გაიმართა „განთიადის“ საქალაქო პირველობა რუსულ შაშში. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის წარმომადგენელმა ს. ფახლაჯიანმა. მეორე ადგილზეა სპორტ კოლექტივის „ისანის“ წარმომადგენელი გ. ციმბალისტი.

დ. როსტომაშვილი



ამას წინათ დამთავრდა დედაქალაქის პირველობა მხატვრულ ტანვარჯიშში.

სურათებზე: 1961 წლის ჩემპიონი ნ. სალაძე. მარჯვნივ — ამ პირველობაში მე-4 ადგილზე გამოსული 66-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ს. მაჭავარიანი.

ფოტო ი. იუნაევისა.

ლ ე ლ ო

მე-2 გვ. № 44 (1680)



მშვილდოსნობა

გორის სტადიონზე დამთავრდა პირველი რესპუბლიკური შეჯიბრება მშვილდოსნობაში. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ ქუთაისის, რუსთავის, სოხუმის, ბათუმის, გორისა და დუშეთის კოლექტივები. **640** ქულით პირველ ადგილზე გამოვიდნენ ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის მშვილდოსნები, მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს დუშეთის რაიონისა და გორის პედინსტიტუტის სპორტსმენებმა.

პირად ჩათვლაში უძლიერესნი იყვნენ ქუთაისელები: ვაჟთა შორის — დ. არსენიძე, რომელმაც 259 ქულა დააგროვა. ქალთა შორის — დ. სუსლინა — 147 ქულა.

სურათზე: გამარჯვებული გუნდი. ქვევით — პირად პირველობაში გამარჯვებული ქუთაისელი მშვილდოსნები დ. სუსლინა და დ. არსენიძე.

ფოტო ა. ადამოვისა.



საქართველოს სპარტაკიადა საიუბილეო 40

მძლეოსნობა

ზაფხულის სპორტული სეზონი ჩვენს ქვეყანაში პირველად საქართველოს მძლეოსნებმა გახსნეს, 2–4 აპრილს ბათუმის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება.

პირველ ჯგუფში გამოდიოდნენ უმაღლესი სასწავლებლებისა და დიდ საწარმოთა გუნდები, ხოლო მეორეში სხვა დანარჩენი კოლექტივები, ასე, რომ საქართველოს თითქმის ყველა წამყვან მძლეოსანს მოუხდა თავისი ფიზკულტურული კოლექტივების ინტერესების დაცვა და საკუთარი ძალების გამოცდაც.

მიუხედავად ამისა, შეჯიბრებას მაინც აკლდა რამდენიმე წამყვანი მძლეოსანი, აკლდა იმიტომ, რომ ზოგიერთნი ცენტრალური საბჭოების საკავშირო შეკრებებზე იმყოფებიან, ზოგიერთმა კოლექტივმა კი ვერ მოიპოვა სპარტაკიადის ფინალში მონაწილეობის უფლება.

კარგი ამინდი ყოველმხრივ უწყობდა ხელს სპორტსმენებს. რასაც ვერ ვიტყვით სტადიონის შესახებ, სარბენი, სახტომი თუ სატყორცნი სექტორები ვერ აკმაყოფილებდნენ მოთხოვნებს, შეჯიბრების ორგანიზატორები სწორედ სტარტის წინ ეძებდნენ საჭირო ინვენტარს.

ყველა ზემოაღნიშნულს უნდა დაემატოს ისიც, რომ სოხუმის სპორტკავშირმა ბათუმში გამოსაგზავნი გუნდი მიავლინა თბილისში (?!), რის გამო მონაწილეები შეჯიბრების დღეს დაღლილნი გამოცხადნენ ადგილზე, თბილისის ტრანსპორტის მთავარმა სამმართველომ კი გუნდი სრულებით არ მოავლინა შეჯიბრებაზე.

ყველა ამან უარყოფითი შედეგი იქონია სპორტსმენთა მაჩვენებლებზე, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ მთელ რიგ სახეობებში ნათელი გახდა, რომ სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს თავი არ შეუწუხებიათ ზამთრის პერიოდში წვრთნით.

დაბალი შედეგები იქნა ნაჩვენები უროს ტყორცნაში, საშუალო და გრძელ მანძილებზე რბენაში, ჰოკით ხტომაში. ამ უკანასკნელ სახეობაში სექტორზე გამოვიდა მხოლოდ ერთი მონაწილე — ტ. აბიბოლლი (თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი), რომელმაც შეძლო მხოლოდ 3 მ 40 სმ-ს დაძლევა. უროს ტყორცნაში მონაწილეობდნენ თ. ჰუჰულაშვილი (თბილისის საელმავლო დეპო) და შ. შანიძე (თბილისის ინდუსტრიული ტექნიკუმი), გამარჯვება პირველს დარჩა III თანრიგის შედეგით — 44 მ 32 სმ. 3.000 მეტრზე წინაღობებით რბენაში მხოლოდ ერთი მონაწილე ჩაეტია სათანრიგო დროში — გ. იმნაძე (ბათუმი, „დინამო") — 9.53,2.

სულ ერთი მონაწილე იყო 800 მეტრზე ქალთა რბენაში. ვაჟთა შორის 5.000 მეტრზე რბენაში მხოლოდ სამმა პრიზიორმა შეძლო III თანრიგის ჩვენება. გამარჯვებულმა ვ. პერისტიმ (ფიზკულტურის ინსტ.) და მისმა თანაგუნდელმა ი. უშაკოვმა და ფოთელმა ა. მირონოვმა.

ერთადერთი, რამაც შეჯიბრება ჩიხიდან გამოიყვანა, ეს იყო ბადროს ტყორცნაში ქალთა შორის ბათუმელი ლ. ტუღუშის მაჩვენებელი — 51 მ 44 სმ. რაც ოსტატის შედეგს აღემატება. ი. მხეიძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) შეასრულა I თანრიგი — 44 მ 12 სმ. ვაჟთა ბადროს ტყორცნაში გ. გუდაშვილმა (ფიზკ. ინსტ.) — აჩვენა 50 მ 48 სმ და გ. ჩადუნელმა საელმავლო დეპო) — 47 მ 40 სმ.

აღსანიშნავია ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტის ლ. შაგოვის წარმატება. მან პირველი ადგილი დაიკავა შუბის ტყორცნაში, დაამყარა საქართველოს ახალი რეკორდი — 73 მ 48 სმ და პირველად შეასრულა ოსტატობა. რაც შეეხება ქალთა შორის შუბის ტყორცნას, პირდაპირ სამარცხვინო ფაქტს ჰქონდა ადგილი. მესამე ადგილზე გამოსულმა თ. ოთირბამ (სოხუმი, ინდუსტრიული ტექნიკუმი) აჩვენა... 15 მ 98 სმ (!?).

ლ. გიორგაძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

* * *

ტექნიკური შედეგები: ქალები.

რბენა **100 მ.** ლ. ვოლოშინა (ფიზ. ინსტ.) — 13,2; **200 მ** — ფ. სტრახერი — 27,6; **400 მ** — ლ. თოფჩიშვილი — 1.00,6; **80 მ. თარჯრბენი** — ლ. ლევჩენკო (ელდეპო) — 12,2; **შუბის ტყორცნა** — ს. ლევიცკაია (ბათუმი, სავაგონო დეპო) — 43 მ 48 სმ. **ბადროს ტყორცნა** — ლ. ტუღუში (ბათ. „დინ". IV კოლექტ.) — 51 მ 44 სმ, **სიგრძეზე ხტომა** — ლ. ვოლოშინა — 5 მ 34 სმ. **სიმაღლეზე ხტომა** — ლ. პატარიძე (ფიზ. ინსტ.) — 155 სმ, **ბირთვის კვრა** — ი. მხეიძე — 12 მ 71 სმ,

ვაჟები. 100 მ — ლ. ანთაძე (ელდეპო) — 10,9, **400 მ** — გ. იმნაძე (ბათ. „დინ" IV კოლექტივი)— 52.4 წ. **800 მ** — გ. იმნაძე — 1.59,3. **1500 მ** — ზ. ეფრემიძე — 4.12,5. **110 მ თარჯრბენი** — მ. ტუღუში (ბათ. „დინ" IV კოლექტივი) — 15,2. **10 კმ სპორტული სიარული** — ა. მჭედლიძე (ფიზკულტურის ინსტ.) — 49.21,0. **სამხტომი** — გ. გორბაჩოვი (ფიზკ. ინსტ.)— 14 მ 24 სმ, **შუბი** — ლ. შაგოვი (ფიზკ. ინსტიტუტი) — 73 მ 48 სმ. **ბადრო**—გ. გუდაშვილი (ფიზკ. ინსტიტუტი)—50 მ 48 სმ, **სიგრძეზე ხტომა** — ვ. სილუიანოვი — 7 მ. 19 სმ (აქ პირადში რ. ქოჩაკიძემ აჩვენა 7 მ 43 სმ), **სიმაღლეზე ხტომა** — გ. გორბაჩოვი — 196 სმ **ბირთვი** — ო. გოშაძე (ფიზკ. ინსტიტუტი) — 15 მ 64 სმ.

წყალბურთი

„დინამოს" საცურაო აუზში ჩატარდა საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება წყალბურთში, რომელშიც მონაწილეობდა თბილისის (2), ბათუმის, სოხუმისა და ქუთაისის გუნდები.

თბილისის სპორტულ ღირსებას იცავდნენ სპორტული კლუბის „გამარჯვებისა" (კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანა) და ფიზკულტურის ინსტიტუტის წყალბურთელები.

სამწუხაროდ, აღნიშნული შეჯიბრება მოკლებული იყო სპორტულ ინტერესს. თბილისის გუნდები თავისი სიძლიერით ბევრად აღემატებოდნენ დანარჩენ კოლექტივებს, ძალთა ასეთი უთანასწორობა, რასაკვირველია, ანელებდა სპორტულ ინტერესს, რაზედაც შეხვედრათა შედეგებიც (16:0, 12:0, 12:1) მეტყველებს. გათამაშების ზოგიერთმა შეხვედრამ (მაგალითად, კიროველთა შეხვედრამ ქუთაისელ წყალბურთელებთან) მთლიანად დაკარგა სპორტული ინტერესი. თავაშვებული მოთამაშეები იქამდე მივიდნენ, რომ ფეხით დაიწყეს თამაში. ასეთი საქციელი სუსტი მოწინააღმდეგის გარდა, მაყურებლის უპატივცემულობაცაა.

ერთადერთი შეხვედრა, რომელმაც სპორტული ინტერესი გამოიწვია და სპარტაკიადის ჩემპიონი გამოავლინა, იყო ფიზკულტურის ინსტიტუტისა და კიროველთა ასპარეზობა.

ინსტიტუტის გუნდში სპორტის ოსტატთა სიმრავლემ გადამწყვეტი როლი შეასრულა. მათი თამაში ტექნიკურად და ტაქტიკურად უფრო სრულყოფილი გამოდგა, და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 8:4. მეორე ადგილი წილად ხვდათ კიროველებს. მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ ბათუმის, სოხუმისა და ქუთაისის გუნდები.

ა. გარნოვი

ფეხბურთის მოედნებზე

ქუთაისელთა პირველი ორი ქულა

9 აპრილს ქუთაისის საქალაქო სტადიონზე შედგა 1961 წლის საკავშირო გათამაშების პირველი მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ „ბ" კლასის მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდები — ქუთაისის „ტორპედო" და რუსთავის „მეტალურგი".

ქუთაისელებმა, როგორც ცნობილია, შარშან პირველი ადგილი დაიკავეს მოკავშირე რესპუბლიკათა ზონებში, ხოლო „მეტალურგი", რომელიც პირველად თამაშობდა ასეთი დიდი მასშტაბის შეჯიბრებაში, მეოთხე ადგილზე გამოვიდა და სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდა უკვე გამოცდილ, „სტაჟიან" მეტოქეებს.

ყოველივე ამან განაპირობა დიდი ინტერესი მატჩისადმი და უნდა ითქვას, რომ ორივე გუნდმა სეზონის დასაწყისისათვის დამაკმაყოფილებელი თამაში აჩვენა.

მოწინააღმდეგეები სრული მონდომებით იბრძოდნენ პირველი წუთებიდანვე წარმატების მოსაპოვებლად. მალე ინიციატივა მასპინძლებმა აიღეს ხელთ და მე-16 წუთზე, ლექავას მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი აიღო მეკარე ადამოვმა.

მე-18 წუთზე ლოსაბერიძე დრიბლინგით გავიდა პირით ხაზამდე და ბურთი საჯარიმო მოედანზე ჩააწოდა, სადაც ერთდროულად გავიდნენ ხაჟალია და ლექავა. ამ სახიფათო სიტუაციაში „მეტალურგის" მცველებმა აკრძალული ხერხით შეაჩერეს ისინი და მოსკოველი მსაჯის ვ. ბარაშკოვის მიერ დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა სორდიამ — 1:0.

კიდევ უფრო მწვავე ბრძოლაში მიმდინარეობდა მეორე ტაიმი, მაგრამ ანგარიში 1:0 ქუთაისელთა სასარგებლოდ უცვლელი დარჩა და ქუთაისელებმა პირველი ორი ქულა ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

სურათზე: მატჩის მომენტი. გარღვევაზეა ქუთაისელი სორდია (მარცხნივ).

ფოტო და ტექსტი ლ. ფაჩუაშვილისა.

ფეხბურთი

9 აპრილს ბაქოს რესპუბლიკურ სტადიონზე შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა" კლასის II ქვეჯგუფის გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და „კალევი" (ტალინი).

მატჩი მოიგეს არმიელებმა ანგარიშით 1:0.



ფიცარნაგი „დინამოს“ დარგაზში

„დინამოს“ ძალოსნურ დარბაზში დამთავრდა „დინამოს“ ძალოსანთა პირადი პირველობა. მონაწილეობდა 44 ძალოსანი. 2 სპორტსმენმა პირველად შეასრულა I თანრიგის ნორმატივი.

შეჯიბრებაში კონკურსგარეშე გამოდიოდა რუსთავის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივის წევრი, პირველი მძიმეწონის ძალოსანი ს. გოგოლაური. მან ორი ხელით აწია 146 კილოგრამი და დაამყარა საქართველოს ახალი რეკორდი ამ სახეობაში.

* * *

სურათზე: ს. გოგოლაური სარეკორდო სიმძიმით.

ახალი შესწორებანი

ლვოვი, (ტელეფონით). ტყვიით მსროლელთა შეჯიბრებაში ო. ტოპკომ პისტოლეტიდან 50 მ სროლაში მოაგროვა 567 ქულა 600 შესაძლებლიდან. ეს შედეგი ერთი ქულით აღემატება ოფიციალურ მსოფლიო რეკორდს.

ლენინგრადის ზამთრის სტადიონზე გაიმართა მოსკოვის, ლენინგრადისა და კიევის მოსწავლე მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა, სადაც ნაჩვენები იქნა რამ- [illegible] ტენშეა: ბაბალი შე- [illegible] დეგი: სიმაღლეზე ხტომაში ბო- [illegible] ითა ძისკრეველმა 1 დ. [illegible] ძალია — 1 მ. 22 სმ, [illegible] ბაბალეთა საკავშირო მიღწევაა.

გოგონათა შორის ნ. ლევინამ (ლენინგრადი) სიგრძეზე ხტომაში შედეგით 5 მ 85 სმ მოიპოვა პირველობა და 17 სმ-ით გააუმჯობესა გოგონათა საკავშირო მიღწევა დახურულ შენობისათვის.



ზოგი რამ წარსულიდან

ამ პატარა ქვეყნის ფეხბურთელები ძვირად ფასობენ ევროპის „ბაზარზე“. ურუგვაელებმა 1924 და 1928 წლებში ზედიზედ მოიგეს ოლიმპიური ტურნირი და ბრწყინვალედ ჩაატარეს მსოფლიოს I ჩემპიონატი. გათამაშების ნახევარფინალში ურუგვაელებმა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით გაანადგურეს იუგოსლავიის ძლიერი გუნდი (6:1), ხოლო ფინალში მათი მეტოქე იყო არგენტინის გუნდი, რომლის შემადგენლობაში თამაშობდა ამჟამად ცნობილი მწვრთნელი გ. სტაბილე. შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ გამარჯვება (4:2) და მსოფლიო ჩემპიონის წოდება ურუგვაელებს დარჩათ. ეს ამბავი ნამდვილ ეროვნულ ზეიმად იქცა ურუგვაიში, მაგრამ ეს გამარჯვება ურუგვაელებს ძვირად დაუჯდათ. მათი საუკეთესო მოთამაშეები უცხოეთის (ძირითადად იტალიის) კლუბებში გადაბარგდნენ და შეშინებულმა ფედერაციამ უარიც კი განაცხადა მონაწილეობა მიეღო მეორე მსოფლიო ჩემპიონატში. 1934 წელს რამდენიმე ურუგვაელმა ფეხბურთელმა მაინც მოიპოვა ჩემპიონის ოქროს მედალი, მაგრამ ამჯერად როგორც იტალიის ნაკრების წევრებმა. 1938 წელს მსოფლიოს მესამე ჩემპიონატში ურუგვაელებს კვლავ არ მიუღიათ მონაწილეობა.

და აი 20 წლის შემდეგ ურუგვაელებმა ისევ დაიბრუნეს მსოფლიო ჩემპიონის წოდება. 1950 წელს IV ჩემპიონატში, სადაც მთავარ ფავორიტებად ბრაზილიელები ითვლებოდნენ, ურუგვაელებმა შეძლეს შეუპოვარ ბრძოლაში მათი დამარცხება (2:1), მაგრამ ძველი ისტორია აქაც განმეორდა. „შავ ბაზარზე“ (ასე უწოდებენ ფეხბურთელებით მოვაჭრენი მსოფლიო ჩემპიონატს) გაყიდული აღმოჩნდა ურუგვაის თითქმის მთელი გუნდი.

მიუხედავად ამისა, წარმატებით გამხნევებულმა ურუგვაელებმა მოიკრიბეს ძალები და 1954 წელს შვეიცარიაში ახალი, საუცხოო ნაკრები წარგზავნეს. ამ გუნდმა ნახევარფინალამდე მიაღწია, მაგრამ ბოლოსდაბოლოს იძულებული გახდა ფარხმალი დაეყარა უნგრეთის „დიდი გუნდის“ წინაშე (2:4). ევროპელებმა ამჯერადაც გადაიბირეს ნაკრების წამყვანი ფეხბურთელები, პირველ რიგში მცველი ხ. ე. სანტა-მარია (თამაშობს მადრიდის „რეალში“) და ურუგვაელთა სიამაყე ხ. სკიაფინო (თამაშობს „რომაში“). საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ „გამოშვებულმა“ ურუგვაელებმა ნამდვილი „ნოკაუტი“ მიიღეს პარაგვაელებისაგან (0:5) და ვერც კი მოხვდნენ მსოფლიო VI ჩემპიონატის ფინალურ თამაშებში.

ნაკრები რეაბილიტირებულია

ამ „ნოკაუტმა“ პირველ ხანებში ურუგვაიში თავზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა. დაცარიელდნენ მოწინავე კლუბები, მათ რიცხვში „პენიაროლი“ და „ნასიონალიც“ კი. არგენტინის სხვადასხვა გუნდებში გადაბარგდნენ დუკასი, სასია, ტაიბო, სილვეირო, როდანდი და სხვანი, ხოლო დანარჩენები ევროპაში გაემგზავრნენ. ერთ დროს ურუგვაის ფეხბურთელთა კავშირმა მოთამაშეებს აუკრძალა უცხოეთში წასვლა, მაგრამ მალე ეს დადგენილება გაუქმებულ იქნა, როგორც „პიროვნების თავისუფლების ხელმყოფი და პროფესიის თავისუფლად არჩევისათვის ხელისშემშლელი“.

ნაკრების მწვრთნელმა ხუან კარლოს კარდოცომ მაინც მონახა გამოსავალი. მან საკლუბო გუნდებისაგან შეარჩია ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომელთაგან ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ კვლავ შექმნა მძლავრი ნაკრები. მართალია, ეს პროცესი საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა (ურუგვაელებმა ცუდად ითამაშეს სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატში 1959 წელს), მაგრამ მალე კარდოცომ ისევ აღიმაღლა ხმა. 1959 წლის დასასრულს გუაკილში (ეკვადორი) სამხრეთ ამერიკის ნაკრები გუნდების საგანგებო ტურნირი გაიმართა. მართალია, ბრაზილიელები ზერელედ მოეკიდნენ ამ შეჯიბრებას (ძალიანუ- [illegible] ლი ნაკრების ნაცვლად ამ შეჯიბრებაში ეოთ-ეოთი ოტატის გუნდი თამაშობდა), მაგრამ სხვა ქვეყნები უძლიერესი გუნდებით იყვნენ წარმოდგენილი. ტურნირის ფინალში ურუგვაელებმა უჩვენეს ნამდვილი დიდი ფეხბურთი და არნახული დამარცხება მიაყენეს არგენტინელებს — 5:1 ამ დიდი გამარჯვების შემდეგ ურუგვაის ნაკრებმა ისევ დაიბრუნა პირველობა და გულშემატკივართა მხურვალე მხარდაჭერაც. ამას მოყვა წარმატება „ატლანტიკის თასზე“, სადაც ურუგვაელებმა დამარცხება მიაყენეს ბრაზილიელებს (1:0), რომლებიც თავიანთი უძლიერესი შემადგენლობით თამაშობდნენ. საბოლოოდ ურუგვაის ნაკრებმა იმდენივე ქულა მოაგროვა, რამდენიც ბრაზილიელებმა და არგენტინელებმა, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდებით თასი ბრაზილიელებს დარჩათ. დაბოლოს, ურუგვაის უძლიერესმა გუნდმა „პენიაროლმა“ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასის პირველ გათამაშებაში.

ინტენსიური მზადება

მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისათვის ურუგვაელები ინტენსიურად ემზადებიან. კლუბებს ხელს უწყობენ ნაკრების მწვრთნელს სისტემატურად ჩაატაროს შეკრება, დროულად ანთავისუფლებენ მოთამაშეებს. უძლიერესი კლუბები „პენიაროლი“ და „ნასიონალი“ კალენდარულ მატჩების დროსაც კარ უშლიან ხელს ნაკრების წევრებს შეკრება გაიარონ მსოფლიო ჩემპიონატისათვის მოსამზადებლად.

აი ურუგვაის ნაკრები დღეისათვის: მეკარე მაიდანა; მცველები: პინო, მარტინესი, ტროჩე, მესია; ნახევარმცველები: გონზა, გონსალვესი, გომესი; თავდასხმა პერესი, ვერგარა, კობასი, როდრიგესი და ესკალადა.

გარდა ამბანაგური საერთაშორისო მატჩებისა, კარდოცომ გადაწყვიტა მონაწილეობა მიიღოს სამხრეთ ამერიკის ტრადიციულ ჩემპიონატში, რომელიც მიმდინარეობს წელს ჩატარდება. გარდა ამისა, ურუგვაის ჩემპიონი და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონების თასის მფლობელი, მონტევიდეოს „პენიაროლი“ მონაწილეობას მიიღებს ამ თასის მეორე გათამაშებაში.

გ. გამრეკელი

„თეთრი მეფის“ კლუბი აცხადებს საერთაშორისო კონკურსს

პეჟოს (საფრანგეთი) საავტომობილო ქარხნის საჭადრაკო კლუბმა „თეთრმა მეფემ“ გამოაცხადა საერთაშორისო კონკურსი საჭადრაკო ამოცანების შედგენაში. კონკურსი გამოცხადებულია ორ, სამ და ოთხსვლიან ამოცანებში.

კონკურსში მონაწილეობა თავისუფალია მსოფლიოს ყველა კომპოზიტორისათვის.

ორსვლიანი ამოცანა აუცილებლად უნდა იქნას შედგენილი. პ. მონრეალის თემაზე, რომელიც შემდეგი შინაარსისაა. ამოცანას წყვეტს თეთრი მეფის სვლა, ამასთან ეს სვლა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ სამ პირობას: 1. თეთრი მეფე სცილდება შავ მეფეს, 2. უთავისუფლებს მას უკანდასახვევ უჯრას, 3. დაბმისგან ათავისუფლებს ერთ-ერთ შავ ფიგურას, რომელიც მუქარას ქმნის. თუ შავი მეფე დაიკავებს განთავისუფლებულ უჯრას, შამათი უნდა გამოცხადდეს იმ ფიგურით, რომელსაც არ შეუქმნია პირველდაწყებითი მუქარა. სხვა ვარიანტებმა კვლავ უნდა დაიბან განთავისუფლებული ფიგურა. მოგვყავს მაგალითი ამ თემაზე.



შამათი 2 სვლაში.

ამოხსნა: 1. მ:f8 2. მe4X მუქარით. თუ 1... მ:h6 2. მ:g4X; თუ 1.... ლ:f5 2. მ:f1X; თუ 1.... ე:f5 2. მ:c2X.

სამსვლიანი და ოთხსვლიანი ამოცანების თემა ნებისმიერია.

კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტში შედიან ლუის ხოზე არკონი — (კლუბის თავმჯდომარე), გასტონ ბალბო (ტექნიკური მდივანი), ჟაკ ტუზრი (კლუბის ვიცეპრეზიდენტი), კონკურსს სჯიან: ორსვლიანებს—პ. მონრეალი, სამსვლიანებს—რ. ბედონი, ოთხსვლიანებს — რ. დიოტი.

კონკურსის ყოველ სახეობაში დაწესებულია ოთხი პრიზი: I პრიზი 100 ახალი ფრანგული ფრანკი, II პრიზი, 60 ახალი ფრანკი, III პრიზი — 40 ახალი ფრანკი, IV პრიზი — 30 ახალი ფრანკი. არის საპატიო შეფასებებიც.

შემოღებულია საერთო შეფასება კომპოზიტორებისათვის, . რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ კონკურსის სამივე განყოფილებაში. თვითეულ განყოფილებაში 20 საუკეთესო ამოცანა მიიღებს ქულებს 20-დან 1-მდე. სამი კომპოზიტორი, რომლებიც ყველაზე მეტ ქულას მოაგროვებენ, მიიღებენ სამ პრიზს: I პრიზი — 150 ახალი ფრანკი, II პრიზი — 100 ახალი ფრანკი, III პრიზი — 50 ახალი ფრანკი, ხოლო დანარჩენი 17, დაჯილდოვდებიან დიპლომებით.

ყოველ კომპოზიტორს თვითეულ განყოფილებაში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამოცანების განუსაზღვრელი რაოდენობით, ხოლო საერთო შეფასებისათვის მხედველობაში მიიღება მხოლოდ საუკეთესო ამოცანა.

ამოცანები უნდა იყოს ორიგინალური და ადრე გამოუქვეყნებელი. ამოცანები დიაგრამებზე იხატება ორ ცალად, მათ თან უნდა დაერთოს სრული ამოხსნა. მთელი მასალა უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით:

II Concours de Problemes du Roi Blanc Peugeot
Cercle—Hêtel Peugeot Montbeliard
Doubs
France

ამოცანების გაგზავნის უკანასკნელი ვადაა 1961 წლის 30 ნოემბერი.

საკონკურსო ამოცანები გამოქვეყნდება ჟურნალ „პეჟო-ჭადრაკში“. მცდარი ამოცანები ავტორებს უკან დაუბრუნდებათ.

კონკურსის შედეგები გამოქვეყნდება 1962 წლის 30 აპრილს, ხოლო ლაურეატებს პრიზები გადაეცემათ ოთხი თვის შემდეგ, თუ ამოცანებში არ აღმოჩნდა შეცდომები.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის, თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-49-62 პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, გამომშვების — 3-01-06.

3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. УЭ 00986